

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგეს ცხოვართათვის, (იოან. 10—11).

გოვეც ცხოვარი ჩემი წარწყმედუღი, ესრეთ იყოს სისარული ცათა შინა, ერთსათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოველიო ჩენდა ყოველნი მაშურადნი და ტვირთ-მამენი და მე განგისვენო თქვენ, (მათ. 11—28).

№ 2

1883-1891

30 ანგარი.

გ ა ზ ე თ ი ს თ ვ ა ს ი :

12 თთვით	5 მან.	12 თთვით	6 მან.
6	8	6	4

ფულისა და წერილების გაცხვენა შეიძლება ამ ადრესით და *Кавказ, Вх редакцію „Мисси“ и „Пастыр“*.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც იქნებან დასაბუქდავით გამოგზავნილი ვრცელად და განსაგებდა უნდა იყვნენ პეტრობაგან ხელ-მოწერილი.


სტატიკა, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება პეტრობაგან შაის ხარკით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებან რუსუდის ენაზე და დაწერილიც და თარგმნილი დაიბეჭდებიან.

რუკლასიანი სამაგალითო სკოლის გზხნა და ქუართხევა მარბვილი.

ჩენი ბელი და იღბალი, ჩენი სასუტყელი მომავალი და კეთილი - დღობა დამოკიდებულა უმოთაგენად ჩენი მომავალი მოზარდი თაობის განათლებაზედ. ამისათვის ყოველგვარი სკოლების გახსნა სასიამოვნო უნდა იყოს ეფელასათვის, ვისაც კი გული შეტკივა ჩენს ხალხზედ. ერთ ამ გვარ სკოლას ეკუთვნის მარტვილის ახლად გახსნილი რუკლასიანი სამაგალითო სკოლა. ჩენმა მკითხველებმა უკვე იცან, რომ მარტვილში შენდებოდა ხალი რუკლასიანი

სამაგალითო სასწავლებლისათვის ყოველად სამღვდლო ეპისკოპოსის გრავირას თაონობით და საფასით. დღეც ეს შენობა მზად არის. ჩენ თვითონ ენახეთ ეს შენობა, დავეწარით მის კურთხევას და გახსნას და უნდა ესთქვათ, რომ ჩენ ვერ წარმოვიდგენდით, თუ რუკლასიანი სკოლისათვის ამისთანა შენობას ააგებდნენ სოფლად. შენობა არის ქვიტკირისა, გრიძლი, საკმაოდ განიერი და მაღალი. შენობა აღმწებულა სწორედ იმ მაღლობადგდებულად, სადაც წინად სასულიერო ოთხკლასიანი სასწავლებლის შენობა იყო. მთელი შენობა ხუთ ოთახით არის გაყოფილი. თითო ოთახში სამოცამოცი ბავ-



შვი ადვილად მოთავსდება. ერთი მხრით შერობას აქვს იღვინი, ეზო აქვე სრული. ამ შერობას უკანასკნელი რვა ათასი მა ერთი არ ეყოფოდა, მაგრამ უკვე სამღვდელთა მესტრინებთან და მოხერხებებით ეს შერობა ბევრად იაფად დაჰჯდარა. ამ სკოლის საკუთხად ამ იანერის უკანასკნელ რაქსებში ფოთიდან მობრძანდა ყოველად სამღვდელთა გოგორი. მარტილის ტაძარში წირვის შესრულების შემდეგ ყოველად სამღვდელთა გრიგორი არქიმანდრიტი იონას და მზავალი სამღვდელთაგანის თანადანსწრებით შემოსილნი გამოვიდნენ ტაძრიდან და შევიდნენ ამ ახალს აგებულს შერობაში, რამელიც ტაძრის მახლობლად არის. აქ შერობის ერთ დიდ ოთახში მრავალი ქსაზოგადიონის თანადანსწრებით ვარდახილ იქნა პარაკლისი. პარაკლისის გათავებისას ყოველად სამღვდელთა გრიგორიმ წარმოსთქვა მშენიერი და გრძობითი სსევე სიტყვა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა მსმენელზე. სიტყვა იყო წარმოთქმული ზებირად და დასწრლად. ამისათვის, ჩვენდა სამწუხაროდ, სიტყვა სიტყვით ვერ ებეჭდათ ამ სიტყვას. ყოველად სამღვდელთა თვის სიტყვაში პარველად მოუთხრა მსმენელთ მარტილის ტაძრის ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა მას ძველ დროში მთელი სამეგრელოსათვის სარწმუნოების, ზნობისთვის და სწავლა-განათლების მხრით. ბოლოს მათმა მიუღებამ განმარტა, თუ რამ გამოიწვია სავისკოპოზო კათედრის გადატანა მარტილიდა. ქსამეგრელოს მცირე ეპარქიისათვის, ბრძანა ყოველად სამღვდელთა, მარტილი იყო შუა გული ადგილი, საიდნავე ერცელდებოდა ნათელი ქრისტეს ჭეშმარიტი სწავლისა. მაგრამ დრო შეიცვალა და სამეგრელოს მცირე ეპარქია ვადიდდა, ასე რომ მარტილი ამ ერცელი ეპარქიისათვის შუა ადგილს აღარ შეადგენდა. ამისათვის უპაღოსმა სასულიერო მართელობამ საუფრობესოდ დაინახა კათედრისათვის სხვა ადგილი გამოერჩია; ამით მარტილოს მოაკლდა თავისი ძველი მნიშვნელობა სამეგრელოს მკიდრთა სამწუხაროდ. მარტილი მოაკლდა არა მარტო მღვდელ-მთავრების კათედრას, არამედ ერთად ერთ სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელს, რომელშიაც, მარტილის ახლო-მახლო სოფლების მკიდრთა შეილები იღებდნენ განათლებას, ასე დაობლებული იქნა მარტილი. ეს დიდი სამწუხარო იყო, რასაკერეველია, ყველა აქეთ მკიდრთათვის და განსა-

კუთრებით ჩემთვის, რომელიც ამ მონასტრის მკიდრე ზარდ, აქვე ემსახურე და კარგად მახსოვს ამ მონასტრის ძველი დიდება. ამისათვის სულით და გულით ესკილობდი, რომ რამე ნუგეში მიმეცა მარტილის მკიდრთათვის. მთავრობამ, რომელიც დაუღალავად ზრუნავს ხალხის განათლებისათვის, ვარდასწავიტა სამეგრელოს ეპარქიაში ერთი ორ-კლასიანი სამავალითო საეკლესიო-სამრელო სკოლისა და ორი ერთ-კლასიანის გახსნა. და ამ სასწავლებლებში მოსამსახურე მასწავლებლებისათვის დანიშნა ჯამაგირად 1200 მ. ხანებულ სასწავლებლებსათვის შენობათა აგება, მოწყობა და სხვა ხარჯი თვითონ საზოგადოებას უნდა მიეღო თავის თავზე. ყოველივე ღონისძიება ეინხარე ჩემს მხრით, რომ ეს ორ-კლასიანი სამავალითო საეკლესიო-სამრელო სკოლა გახსნილიყო მარტილში და ამით შემეცოდა ოთხ-კლასიანი სასწავლებლის მარტილიდან სხვა ადგილს გადატანით. ბევრი შრომა და ცდა დაჰკურდა ჩვენ, რომ ამ ხსენებული სასწავლებლისათვის შესაფერი შერობა ადევნო. ღვთის შვეწებით ჩვენ უკვე შეასრულეთ ჩვენი წადილი. მაღლობას ესწრაფე ყველა იმ ბლოკინების და მღვდლებს, რომელთაც შემწეობა აღმოიჩინეს მე და კეთილ საქმეში. მაღლობას ესწრაფე აგრეთვე საერო წოდების ზოგიერთ პირთაც, რომელნიც, შეძლებისა და გერად, დაგეგნებენ ამ საქმეში.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ეს სასწავლებელი საზოგადოების თანაგრძნობით და დახმარებით გაუმჯობესდება და ოდესმე გაუსწორდება ამ სასწავლებელს, რომლის მოკლებას მარტილი ასე ხამნილად სწუხდა და დღესაც სწუხს.

შემდეგ ყოველად სამღვდელთა გრიგორიმ თავისი სიტყვა მიმპირთა ამ ახლად ნაკურთხი სასწავლებლის მასწავლებლებს, მოაგონა მათ ჭაით დიდი და მიიმე მოვალეობა. დაწერილებით განუპარტა მათ, რომ სწავლასთან ერთად მათ უნდა შეათვისებინონ მასწავლეთა სარწმუნოება და კეთილ-ზნობა. ბოლოს ყოველად სამღვდელთა მიუბრუნდა მოსწავლეთა, რომელთა რიცხვი სკოლის კურობევის დღეს იყო ასსზე მეტი და მისცა მათ შესაფერი დარიგება. ბოლოს ყოველად სამღვდელთა მიმპირთა სიტყვა იქ დამსწრე საზოგადოებას, რომელსაც პარველად მიულოცა სასწავლებლის კურობევა და გახსნა და მერე ყველას



მადლობა შესწირა მათი თანაგრძობრასათვის.

შემდეგ ამის შესაფერისტყეა წარმოსთქვა რუსულს ენაზედ ახალ-სენაკის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა ბ. თ. კ. ბოლოლიუბოვმა, რომელმაც განმარტა სწავლის სარგებლობა და მასწავლებელთა დიდი მოვალეობა. აქვე დასძინა მან, თუ რა ღმერთმა უნდა აღმოუჩინონ მშობლებმა მასწავლებელთ, თუ ჰაურთ, რომ მათმა შეილებმა რიგიანად შეითვისონ სწავლა.

ბ. ბოლოლიუბოვის შემდეგ სიტყვა წარმოასთქვა რუსულსავე ენაზე ახლად-ნაკურთხა სასწავლებლის მასწავლებელმა ბ. ბობოხიძემ. თავის სიტყვაში ბ. ბობოხიძემ სხვათა შორის მოიხსენია ისტორიული ცნობები მარტვილის მნიშვნელობაზე ძველსა და ცხლანდელს დროში.

ბ. ბობოხიძის შემდეგ სიტყვა წარმოასთქვა ამავე სკოლის მეთრე მასწავლებელმა ბ. ს. თათარი შერლმა. აი ეს სიტყვა:

ყოვალად უსამდევდელივსო მეუფეო, უმოწყაფესო მწყემსთ-მთავრო!

დღეიდან ამ ზეგნი სამშობლოს უძველეს დროთა ერთ სახელოვან ნაშთ, მარტვილის მონასტრთან, და-არსდა სამკაფლითო ორ-გლასიანი საეკკლესიო-სამძრელო სკოლა. ეს მოკლენა შეტად სამხარელო უნდა იგუქს უკლესათვის და, განსაკუთრებით, მარტვილის და მისი ახლო-მახლო მდებარე სოფლების მკკადრთათვის. რომელსაც დახლოებით შეუძლიათ ისარგებლან მოსახლებული სკოლის ნაყოფითა. საზოგადოდ დახრება და გამძრელება სკოლებსა სასამოქრო მოკლენა, რომორც წინდა სწავლა განათლებას გაგრელებების და ერის კეთილ-დღეობას წინ წაწყვიას, მაგრამ უშეტეს სასამოქრო არის გამძრელება ესრედ წოდებული საეკკლესიო სამძრელო სკოლებსა, რომელთა რადესს ეკუთვნიან დღეს ნაყოფისა მარტვილის სკოლა და რომელინც არიან დასაგრელებული სასულიერო სწავლა-განათლებლის. უკლამ კრება ვეფით, რომ სასულიერო სწავლა-განათლებლა უსაწაროესა კანობრიობის ცხოვრებაში, რადგან უშეტესად მასზედ არის დამუერებული კეთილ-დღეობა რომორც მთელის საზოგადოებისა, ისე კერძო შირისს; კაც, მოკლეული სასულიერო სწავლა-განათლებას, ცუდი შემსარელებელიამ მჰალი დანიშნულებისა, რომლისათვის არის შექმნილა ამისათვის თუ კაცი ოდესმე ისურვებს შეიძინოს საზოგადოდ სწავლა-განათლებლა, უმირეკლესად უნდა სდგომოდეს მიიღოს და შეითვისოს ზეგო ნათეკვი სასულიერო სწავლა.

მარტვილმა, ამ უძველესას დროიდან შუა წერთელმა, საიდანაც იფიქრობა მთელს სამეგრელოში სწავლა-განათლებლა და, განსაკუთრებით— სასულიერო, ამ სარეში ერთობ დაიწყო; მისიან სულ მიიღა განდილო სახელი (სწავლა-განათლების გამგრელებულად ადგილისა სამეგრელოში“. დროიდან მისი მნიშვნელობის დაწყვის დღემდის მარტვილი კერ შემკლეული იყო ეტვირთა ანამც თუ მის გაგრეშეო მდებარე სოფლებსა, თითქმის მის მკკადრთა შარკელ-დასაწყისი სასულიერო სწავლა-განათლებლა. აქ, ამ შესანიშნუ და დიდებულ მონასტრთან, არ არსებობდა დღემდის, საშკაფებათა და მოთავე შირთა უშეტეხებლობისა გამო საეკკლესიო-სამძრელო სკოლაც.

თქვენ, ყოვლად უსამდევდელივსო მეუფეო. რომელიც გულმოდგინეთ ზრუნავთ თვისს ვრცელ ეპარქიაში სასულიერო განათლებას გაგრელებებისათვის, არ დასტრეკეთ გრეშე თქვენს მწყემსთ-მთავრებს უგრადლებსა, ერთი უმთავრად უმდრეკისა, მაგრამ უმნიშვნელო განესა თვისის წარსულით ნაწილა თქვენს ეპარქიისა, მარტვილი.

გარდა მისა, რომ იმუარეგომლეო ვისდამა წინაშეც ჰერ იყო, შესახებ განხილას აქ ამ ორ-გლასიანი სამკაფლითო საეკკლესიო სამძრელო სკოლასა, რომლის შესახებაც გამოითხრეკეთ სასულიერო მთავრობისაგან სარეფი, ამ შესმის განსხორცრელებულად თქვენი სარეფი და შრომაც უზომოა გასწიოთ. თქვენი მეუფეებისა სარეფთარის მონდომებით და სარეფით აღშენებულად აწინდელი სასკოლო სახლი და მომუხეულია მასში საწარო ნივთები და იქელა, თქვენი მეუფეების მთავრელობისა ქვეშ ეს სკოლა შევა სასრეველს წარმეტებაში და აღმოუნენ მოზარდ-თობას ნივრე სასულიერო სასულიერო სწავლა-განათლების მიძლეაში. სახლ მოზარდი თობას, შემდებელი დღეიდან ამ სკოლაში სასულიერო სწავლა-განათლების მიძლებისა, მათი შრომები და ეველა თანამგრძნობისა სასულიერო სწავლა-განათლების გაგრელებებისა უტრუთავესს მადლობას გწირავს და სიხოკუნ-მულად მძრეული კიდევ მრავალ წელს იცოცხლოს თქვენსა მეუფეებამ, ზეგნმა უმოწყაფესმა მწყემსთ-მთავრამ, გეასწავოს და გაეკურთხოსო.

ნაშუადღეის პირეცლს საათზე გათავლა პირაკ-ლორსი. ყოვლად სამდევდლომ ლოკეა-კურთხევა გადისცა ყველა იქ დამსწრეთ და ახლად მისაღებ მოწუფეებს, რომელითაც საითითოდ დღურეგა სასულიერო შინაარსის პატარა წიგნაკები.

საქართველო
საქართველო

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობის განცხადება
წ.წ., დაქვემდებარება.

ბრძოლის არ ხდება ქვეყანაში დღეს
უნებურად; დღევანდელი ყოველსავე განაცხადს, უმე-
ლადღერებულად ზრუნავს. იგი აქვეყნებს ქვეყანას
წყობას, ის უბრძანებს მზეს ანათებდეს რა-
გორც კეთილთა, ისე ცოცხალთათვის. იგი
ზრდის ფრინველთა ცისათა და მის უნებურად
ერთი თამაშ არ ჩამოვარდება თავიდან. რას-
კვირველია, დღეს უნებურად არც ჩვეულებრივად
დღევანდელად ხალხს წელიწადში, მრავალი ჩვენი
მხატვრული განმარტონ ამ ქვეყანას და ვერ
მოაღწიეს ხალხს წელიწადში. მაგრამ რისთვის
ინება უფალმა ერთის დატოვება საცხოვრებლად
ამ ქვეყანაში და მეორენი კი მიიწოდა საიქიო
ცხოვრებისადმი—ეს მისი სიბრძნის საიდუმ-
ლოებაა, რომელიც ვერ მისწვდება კაცის გო-
ნება. არავინ არ იყოს დღეს განგებულების
გზანი. ჩვენ მხოლოდ ვიცით და მტკიცედ ვერ-
წყუნებით მართლ მადიდებელ ეკლესიასთან
ერთად, რომ ყოველივე რაც კი შეგვიძინებია
ჩვენ, ჩვენი სასარგებლოა, ვინაიდან სრულ-
დება დღეს ნებით და დღევანდელი ყოველად სახი-
რია და ბორბალს თავს ქმნილებათათვის არ
ისურვებს. თუმცა მან, ყოველად სახიერმან ერთს
მიანიჭა ცხოვრება ხალხი წლისათვის, ეს ინება
მისთვის, რომ მას არა სურს სიკვდილი ცოც-
ხალთა, არამედ მოქცევა და მოხანება მათი, ან
მიხსათვის, რომ კეთილთა თესვითა, დათესვითა
კაცის გულისა შინა, გამოიღონ ფესვები და მო-
ტანონ ნაყოფი. ყოველს შემთხვევაშიც კაცი
ვალდებულია იზრუნოს ცხოვრებისათვის და
უნაყოფოდ არ დადუშოს დღესათვის მოწ-
უალებით მისდამი მინიჭებული ხალხი წლის
ცხოვრება.

ჩვენ არ ვიცით, თუ რაისათვის ინება დღევ-
თამ განგრძობა ჩვენი სიცოცხლისა ისე, რა-
გორც არ ვიცით, თუ რამდენი დრო გვაქვს

დანიშნული ცხოვრებისათვის ამ ქვეყანაში. ეს
უცოდინარობა უფრო უნდა გვაძულდებდეს ჩვენ,
რათა ვიზრუნოთ ჩვენს თავზე და ჩვენს ცხოვ-
რებაზე. ყოველი გაცხადი წელიწადი უნდა
მოგვგონებდეს ჩვენს უკანასკნელს დასასრულს
და ამ ქვეყნიდან გასვლას.

დღეს უნებურად არ მომხდარან წარსულს
წელში ზოგიერთთა სურვილი, თუ ყველა არა,
უპეტეო მიანიჭ ადსრულებულია და ბედნიერად
დაგვირგვინებულა, ხოლო მეორეთა სურვილი
არ ადსრულებულა და ყოველისფერშიც გრ-
ძობადნენ ნაყოფიერებას და მწუხარებას. ამ
ხალ წელშიც დღევანდელი, ცხადია, ერთს აღამა-
ლებს და აღადებს, ხოლო მეორეს დაამა-
ლებს და მთავადებს მწუხარებაში. განა რაი-
სათვის ექცევა დღევანდელი ერთს ასე და მეორეს
ისე?—ეს კაცმა არ უწყის. მართლ-მადიდებელი
ეკლესია გვასწავებს ჩვენ, რომ დღევანდელი ყო-
ველად მოწყალეა და შმიდა და ყოველივე ჩვენ-
დამი მოვლილი მწუხარება და სიხარული
გამოწყველია ჩვენს სასარგებლოდ და ჩვენდა
მოასქეველია და ჭემართი გზაზე დასაყენებ-
ლია. ის მოგვანიჭებს ჩვენ მას, რაც ჩვენთვის
სასარგებლოა, მაგრამ არსოდეს არ გამოსცდეს
კაცს იმაზე მეტად, რისიც ატანა მას არ შე-
უძლია.

ქრისტიან კაცს, რომელსაც ჭყავს ამისთანა
ყოველად მოწყალე მზრუნველი, მცველი მამა,
განუდულია შეუძლიან გადასდგას ფეხი ხალხს
წელში, თუმცა მისთვის დაფარულია მისი
მომავალი ბედი ხალხ წელში. მტკიცე
სარწმუნოება დღეს განგებულებაზე, რომე-
ლიც ყოველსავე მართავს და განაცხადს, შე-
ცვლის თავის ბედის უცოდინარობაზე მიმს
სიხარულად დღევანდელი, შემოქმედებულ და
აღავსებს კაცის გულს სიხარულითა ხალხი
წლის მინიჭებით გასასწორებლად თავის სი-



ცოცხლისა და მოსამზადებლად ახალი ცხოვრებისათვის.

ესრეთი სასოება ღმერთზედ არის მომძრავი ძალა ხალხის ცხოვრებისა. ამ სასოებით სცხოვრებს ვაცი, ასე, ჭეშმარიტნო ქრისტიანენო! მიანდვეთ თქვენი თავი ღვთის ნებას და წარმოხ-თქეთ: «მამათ ჩვენო, რომელი ხარ ცაათ შინა, იუოს ნება შენი ვითარცა ცაათ შინა, ვგრეცა ქვეყანასა ზედა». ეს სარწმუნოება და სასოება შენ არ შევარცხვენს; იგი მტყიცვა და შეურყეველი. ნეტარ არს, რაგორც იტყვის წინასწარმეტყველი დავითი, რომლის ღმერთი იაკობისი შემწე არს მისა, და სასოება მისი არს უფლისა მიმართ ღვთისა მისისა.

მ დ ვ ლ ი ს ს ა ი დ უ მ ლ ო .

მ. იოანეს დღეს პატრია სცემდნ იმ მკვრის ქალაქს მცხოვრებნი, სადაც ის იყო მღვდლად და სჯულის მასწავლებლად. მ. იოანე იყო მორჩილი მასხური ღვთისა; მას ჰქონდა ყოველივე ღირსება ქრისტეს მწყემსისა. ცხოვრებაში იყო მორჩილი, უწყინარი და თავის საღმრთო სამსახურში მყოფი. იმას მომეტყოლად უყვარდა თავის ტაძარი, და სცილილობდა მის შემოკბას; ტაძარში მგდოდა ყოველთვის მზიარულად და დიდის მოწიწებით.

მ. იოანეს მეუღლე იყო კეთილი და პატრი-სანი აღმზანი, რომელიც სცილილობდა სახლში და-ეცვა წესიერება, როცა მ. იოანე დაბრუნდებოდა სახლში ტაძრიდან ანუ სასწავლებლადამ, მისი მე-უღლე ორი პატარა ყმაწვილით შეეგებებოდა ხოლმე ქმარს და იღებდა მისგან ლოცვა-კურ-თხევს.

ღვთის მადლით მ. იოანე დიდხანს სცხოვრებდა ბედნიერად. შესანიშნავი იყო მისი კეთილი ხალხთან, მაგრამ ბოლოს მ. იოანეს ეწია უბედურება. მან გამოსცადა მრავალი ტანჯვა და წვალება.

მ-თ ზამთარში, საღაპოს ეკმს ხმა გავრცელდა ერთი მემამულის ი. სიკვდილის შესახებ. ეს მემამულე სცხოვრებდა ერთს ქუჩაში, რომელსაც ახნაურების ქუჩას ეძახდნენ. ამ ქუჩაში იდგა რამდენიმე ახნაურის ძველი ფხრალო სახლები. ამ სახლებში ზოგიერთი სულ ცარიელები იყვნენ. სახლებს ჰქონ-დით დიდი ეზოები და ბაღები. ამ ზემოთ აღნიშ-ნულს ერთს სახლში სცხოვრებდა ხსენებული მემამულე, რომელსაც თავისთან ჰყავდა მარტო ერთი მოხეტეული მოსამსახურე.

მა მოსამსახურე რიგაინად ვერ აღსრულებდა თავის მოვალეობას; თუმცა მას ხშირად არიგებდნენ, რომ უფრო მუყიათად მოჰკიდებოდა თავის მოვალე-ობას, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა. როცა რამე გაფუჭდებოდა ამ მოსამსახურის უყურადღებო-ბით, ამაზე იგი არხინად უნახუბებდა ხოლმე: «რა ექნა, მე მტეი არ შემიძლია». ერთს დღეს ეს მოსამ-სახურე აღის დაუთითხავად წავიდა «პენიაში». ოარი საათის შემდეგ იგი დაბრუნდა სახლში. შევიდა აღის ოთახში, მაგრამ ის შენს მტერს, რაც იმან იქ ნახა. მემამულე ი. ეგლო იატაკზე და მთლად სისხლში იყო მოსერილი. მოსამსახურე მალე მოვიდა გონზე, წავიდა პოლიციაში და შეატყობინა მთავრობას ყო-ველივე.

პოლიციის ბოქაული დაუყონებლივ მოვიდა მემამულის ი. სახლში. მან დაათვალიერა გარდაცვა-ლებულის სხეული, დაათვალიერა სისხლის წვეთები, რომლითაც მთლად მოსერილი იყო სტოლა და სკამები; ბოქაულმა შენიშნა, რომ ოთახის კარები სისხლში მოსერილი ხელით იყო დაკეტილი.

მან გამოჰკითხა მოსამსახურეს და აღმოჩნდა, რომ იმ დროს, როცა მოსამსახურე სასერიოდ წასე-ლას აპირებდა, მემამულის სახლში მისულა

ხენ, მაჰა იმათი მართლა დახნაზე იყო, თუ არა, რა უნდა მიუგო მათ?

ამ სიტყვებზე ქალმა ხელახლად მართო ტირილი.

შვილების მოგონებაზე მ. იოანემაც კი დაიწყო ტირილი, მაგრამ მერე თავი შეიმაზრა, გასწორდა, წაიკრა ხელი გულში და სთქვა:

— ჩემს შვილებს, როცა ისინი გაიზრდებიან, უთხარი, რომ მაჰა იმათი იყო პატროსანი, რომ მას არასოდეს არა თუ კაცის სისხლით, არამედ რაიმე უკანონო შექმნილად არ შეუბღალავს თავის ხელში.

— მაშ შენ შევიძლია თავი გაიმართლო მხილვისაგან, შევიძლია ახსნა ის გარემოებანი, რომელნიც შენზე ეჭვსა სდებენ?

აქ მ. იოანეს მეუღლას სახეში ჰქონდა გასისხლიანებული დანა, რომელიც იპოვეს მისი ქმრის ანაფორის გიბეში და სისხლის ლაქები ანაფორაზე.

— არ შემიძლია, დაბადის ხმით და თავ ჩალუნულმა მიუგო მ. იოანემ: საჭირო არ არის განმარტება, თავის გამართლება არ შემიძლია. უფალმა, რომელსაც მე ვემთავრები, როგორც მონა, დასდო საცო ბაგესა ჩემსა, დასდუმნა ენა ჩემი და თვითონ მაშხილებს მე. განა შემიძლია წინა აღუდგე მას, და რომ წინა აღუდგე, მაშინ ხომ მოეკლდები უკანასკნელს იმედს—მისგან განმართლებს?

ამავე დღეს მ. იოანემ, როგორც გამოძიებასა ქვეშე მყოფი, დააბატონეს სახლში. მას სახლადამ გამოხელის ნება არა ჰქონდა.

სოლის უმიგლო მწუხარებამ და შვილების ტირილმა შეარყიეს მ. იოანე...

მესამე დღეს იმ უბედური საღამოს შემდეგ მ. იოანემ დაუძახა ცოლის თავის ოთახში და უთხრა მას:

მხლავე გაეშურე გუბერნიის ქალაქში. გამოვეცადე მღვდელ-მთავარს და შეპარაღე ჩენი შვილები. მიართვი მას საკუთარს ხელში ეს ჩემი წერილი. შენს გარდა ევრაელს ვერ ვანდობ ამ წერილს.

აქ არის ხაიდუმლო, რომლის გახველად შევიძლია მხოლოდ მღვდელ-მთავრისათვის. გაფიცებ ღმერთს, რომ ცნობის მოყვარებამ არ გაგიტაცოს და როგორც ეს წერილი ისე ამის პასუხი არ გახსნა.

ორა დღის მოგზაურობის შემდეგ მ. იოანეს ცოლი მივიდა გუბერნიის ქალაქში. გამოცხადდა მღვდელ-მთავარს და მიართვა მას წერილი. მღვდელ-მთავარმა პირველად წაიკითხა წერილი და შემდეგ მოისმინა მ. იოანეს მეუღლის თხოვნა შვილების შეახება.

მღვდელ-მთავარი მოიჭუბა და თვალებიდან ცრემლები წამოურღა. შეტრუნდა ოთახში, რომ მ. იოანესათვის პასუხი მიეწერა და რამდენიმე წამის შემდეგ უკანვე დაბრუნდა და გადასცა მთხოვნელს დაბეჭდილი კანცერტი. ამასთანავე მღვდელ-მთავარმა მთხოვნელს მისცა დარიგება და გააბხენევა, თუ რაიმე უბიძრეება ეწევოდათ მათ. ბოლოს გარდასცა მას ლოცვა-კურთხევა და შემდეგი დარიგება მისცა:

— შებედურების დროს გამოიჩინე სიძარვეცი, რომ შენ ღირსი იყავი მღვდლის ცოლობისა.

მ. იოანემ ხელების კანკალით ჩამოართვა ცოლს მღვდელ-მთავრის კანცერტი და, როცა გახსნა, მასში ნახა თავისი საკუთარი წერილი მღვდელ-მთავრის შემდეგი რეზოლიუციით: «ღირსად საყვარელო მ. იოანე! შენ ნუ სწუხარ შენი ოჯახისათვის. ჩემს უკანასკნელს ლუკმას გაუზიარებ მე შენს ოჯახობას. შენ კი ლთავბრივი მწყემსთ-მთავრის იესო ქრისტესაგან მოგენიქება მოწყაის გვირგვინი ღმთის საქმისათვის. მიიღე ეს საჩუქარი სიხარულით, ვინაიღგინ იგი არის წინდ საუკუნო ცხოვრებისა და საუკუნო დიდებისა. მიხარია, რომ უფალმა ღირს გკყო შენ ეწამო, მსგავსად მაცხოვრისა.

(შემდეგა აქმნება).



ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ - მ ა ს ა ლ ა .

გუჯრები

(გვერდულები).

ბონას ღვედლს ერთს ღღეს მასპინძლობა, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთს ღღეს მასპინძლობა, კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკედეს ან სოფლის მოხელე საწირავი ცხენი შეკაზმული, აგრეთვე მათი ცოლები რომ მოკედენ რაც შეეძლოს საწირავი მიაართონ. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ბენესმანს ღვედლს ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი. სოფელს ერთს ღღეს მასპინძლობა. კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკედეს ან სოფლის მოხელე საწირავი ცხენი შეკაზმული, აგრეთვე მათი ცოლები ხა რაც შეეძლოს საწირავი მიაართონ. საკანონო როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

შაშას ღვედლს ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი. სოფელს ერთს ღღეს ჩაყენება, დრამა კომლზედ პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი, მსახური თუ მოკედეს ან სოფლის მოხელენი საწირავი ცხენი შეკაზმული; აგრეთვე მათი მეუღლენი თუ მოკედენ, რაც შეეძლოს საწირავი მიაართონ თუ საკანონო იყოს რამე, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ფუღურის შვილები. სახლის უფროსი ან მოხელე თუ მოკედეს ერთი ნიშანი რაც იყოს. ცხენი შეკაზმული, ერთი გარდასახური წილანელს მიაართონ; აგრეთვე მათის მეუღლისა საწირავი ტყავი ან ტოლომა, კამა, სარტყელი, ლილი ბეჭედი მიაართონ.

შინკანი არაგვის გაღმა ესახლა. რასან არაგვის გაღმა ესახლა ბატონის კათოლიკოსის სამწყსო არის ჭამთა ვითარებისგან და ავის დროსაგან არაგვის გაღმა დასახლდა წილანელის სამწყსოში ჩვენ და ბატონ კათოლიკოსს ცილობა და ლაპარაკი შეგვექნა სამართალში. წილანის ღეთის მშობლისა იყო წაქვანუმა რომანოზ ბატონს კათოლიკოსს თავი

აღარ აწყენა, დაენებეთ და წილანელის მამამთავრებს ყინკანთან ხელი არა აქვთ. — ეს გუჯარიც მამან დაიწერა.

ანანურის ზევით ძვეს გარდა — ისე წილანელს. ათორმეტგანის მოქცეული არის. რა ხან წმინდის აბაზის შვილი შექნა-ლოყენენ იმათი ეფისკოპოზი ეინკანი წილანელი ყოფილან იმათი სამწყსო ყოფილა მცირედ მცირედ ქრისტიანობა შამოუგდათ ხუცესი და დიაკონი დაუღვინებიათ წმინდის ნათლისღების შვილობა გამაველებულა არაგვის ერისთავი არავენ ყოფილა იმის მოქცევაში ერისთავთ თენიერ შაბურაშვილის მეტი, იმას ჭერია დაბალი საერისთავო ანანურის ზევით მთიულეთის, წილანელის არა ედვა — რა, ჩვენ ფრიად ცოლელმან და ყოველთა კაცთა უნარჩევსმან წილანელ ეფისკოპოზმან რომანოზ გვიბძანა არაგვის ერისთავსან ზაალ და მწყესა და კეთილათ გარჯულეა. ჩვენც არ უღებ ვიქმენით ბრძანებასა მწყესს მთავრისასა, რომელმან ბრძანა წარადეით და მოიმოწაფენით. და შევგვამი ამის წარყვით და შეუღებთ კვალს ისე მამად მთავრისასა და მივედით მთიულეთსა მცირე რამ ქრისტიანობა იყო და არც ხუცესი, არც ქრისტიანობა და არც ნათლის ღების შვილობა მართ 1) არ ეწოდებოდა, ისეც კერპის მზგვისი იყენენ. არც მართალი ნათლის ღება იცოდნენ, აღსარება სრულიად არ იცოდნენ, არც მარხვა იცოდნენ, თენიერ ღიდ მარხვის მეტი. ფრიალთა კირითა ეღღაწე ზოგი ერისთვის ძალი მქონდა შემწეთ. 2) ზოგი ნებით მიიციენ. აღსარება ემზაზით ნათელა გავაჩინეთ. წმინდას ზიარებას ერის კაცს მისცემდა საღმე ღველი და ერის კაცი საღმე ახიარებდა. ესეც ამოკვეთეთ. ერის კაცს ღვედელი საიდუმლოს არ მისცემს — თითორ ღვედელმა უნდა აზიაროს ერის კაცი. ჩვენ რომანოზ წილანელი ზაალ ერისთვის დროს მთიულეთში სამეყო ცყოფილვარ, 3) საყენები ეაქურთხეთ იქაურს ღვედელს სახუცო თითო ფუძი დავღვეთ ერისთავმა და ჩვენ სახუცო დაყოფილი არ აქვთ იქაურს ღვედელს. ორი ღვედლისა, ორს ფურს მოქცემდენ — ერთია ერისთავი. ათი ღვედელი რომ გან

1) მთ.
 2) რამენიმე ხატკვა ასო ნაკლებად იწყება: შქვე (= შქვე) მამმთავრებს (მამმთავრებს) და ხიჯ.
 3) ჩვენ... გეოგრაფკართ და არა გეოგრაფკართ.



მოთულებითი სახეცო ათი ფურთი გამოართეთ. ხას ორი ხუცესი იყო იქაუტს ხუცესს მამამთავრისა არ ედეთ რა, არც ერისკაცზედ დამა ედეთ, არც ფესიკობოზის წირვა თუ თვისის ნებით არ უნდოდთ. ახალი მოქცეული იყენენ იმიტომ ვერა საფესიკობოზო გამოსაღები ვერა დაედეთ რა. ვინც ჩვენ შემდგომად წილენელი ბრძანდებოდდეთ ეცადენით კეთილად მოქცევასა და სწავლა და სარწმუნოება განამაველეთ, ეკვლევისის და ფესიკობოზის სამსახური ისწავეთ, თორემ ღმერთი ფესიკობოზის ხელით გამოიძიებს თავის სამწყსოს საქმეს ასე ბრძანებს სახარებასა შინა ასწავებდით და შობდებოთ თქვენცა ამცენით ერთხელ—ორჯელ და ბერის გზისა და ვინც თქვენი სიტყვა არ შეიწყნაროს, განიყრეთ მტვერი ფეხითა თქვენთაგან და უბრალო იქნებით. ნინოს მოქცეული ყოფილა, მასუკან რქ წილენელი ყოფილა. ძველს გუჯარში საფესიკობოზო სათხოვარი, არა სახეცო, არა დრამა არ ეწერა, არც ჩვენ დაედეთ.

მსანვედ ირტოზას კაბრითები. თუ სახლის უფროსი კაცი ან დედაკაცი მოკვდეს კაცზედ მთელი ნიშანი—ცხენი შეკაზმული. ორი წასახურავი, ერთი წილენელისა, ერთი თვისი. აგრეთვე დედაკაცზედ საწირავი ნიშანი ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭელი ორი, წასახურავი წილენელს მიართონ. თუ სახლის უმცროსი მოკვდეს ან უცოლო, ან შეუღლენი მათნი ერთი საწირავი და ერთი წასახურავი. მიართონ. ირტოზელს ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთს ღღეს მასპინძლობა. კომლზედ დრამა ერთი შელო¹⁾, ქერილიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს ან სოფელს მოხელე საწირავი ცხენი შეკაზმული, სოფლის მოხელესაც აგრეთვე მათის ცოლების რაც შეეძლოს საწირავი მიართონ. საკანონო თუ რამ იყოს, რაც ზევით ეწეროს, ის გამოართეთ.

მძისის ღვდელს ერთს ღღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთს ღღეს მასპინძლობა. კომლზედ დრამა შელო ერთი, ქერილიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს—საწირავი ცხენი შეკაზმული, სოფლის მოხელესაც აგრეთვე მათის ცოლების რაც შეეძლოს საწირავი მიართონ. საკანონო რაც ზევით დაგვეწეროს, ის გამოართეთ.

მთავრობაზედ იმათს ცოლებს საწირავი აძეეთ, დრამა არ აძეეთ, საკანონო თუ რამ იყო, როგორც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართეთ. ზოხელეთ განწესება.

ხოვას წინამძღვარი ვინც იჯდეს, თუ მოკვდეს საწირავი ცხენი შეკაზმული, ნიშანი წილენელს მიართონ. ომუროსი¹⁾ მელარეს ჯვარის მჭირავა აბაზა ღვთაებას კუთხებებზე.

ახალ გორს დეკანოზს ერთს ღღეს ჩაყენება ხარი და მარჩილი. კანთველს კაცს თითო ძღვენი, მსახურს საწირავი ცხენი შეკაზმული, აგრეთვე იმათი მეუღლის ერთი საწირავი დრამა კომლზედ თითო შელო, ქერილიტრა ერთი. საკანონო თუ რამ იყოს რამე, როგორც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართეთ. სომეხება. მაგისტანა კაცი თითო ძღვენს მიართმევს და თითოს შუურს.

ახალს სოფელს, ერთს ღღეს იმათი მეუღლით დრამა მასპინძლობა, სახეცო ხარი, ერთი მარჩილი ერთი მსახური თუ მოკვდეს ან მოხელე სოფლისა საწირავი ცხენი შეკაზმული, კომლზედ დრამა შელო ერთი, ქერილიტრა ერთი, საკანონო თუ რამ იყოს რაც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართეთ.

იკოთს ფიციტელურები სახლის უფროსნი კაცი ან მოხელენი თუ მოკვდენ ან მეუღლენი მათნი კაცზედ მთელი ნიშანი შეკაზმული ცხენი, ორი წასახურავი ერთი წილენელისა. ერთი თვისი. უფურას იარაღი და თასი. აგრეთვე იმათი მეუღლისა საწირავი ნიშანი ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭელი, თავსახურავი მთლად ორი წასახურავი—ცხენი წილენელს უნდა მიართონ. თუ სახლის უმცროსი ან უცოლო მოკვდეს ან მეუღლენი მათნი ერთი საწირავი და ერთი წასახურავი მიართონ. ღვდელა ერთს ღღეს მასპინძლობა. ხარი და ცხვარი სოფელს ერთს ღღეს მასპინძლობა, კომლზედ დრამა შელო ერთი, ქერილიტრა ერთი. მამათავრის და მსახურს ან სოფლის მოხელე თუ მოკვდეს საწირავი ცხენი შეკაზმული. აგრეთვე იმათი ცოლების საწირავი რაც შეეძლოს. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართეთ.

მარიანთის ღვდელსა და სოფელს ერთს ღღეს მეუღლის ერთი საწირავი. საკანონო თუ რამ ჩაყენება, სახეცო ნახევარი ხარი, დრამა კომლზედ შელო ერთი, ქერილიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს ან სოფლის მოხელე საწირავი... იმათი

¹⁾ შელო — მსთისი მოკვდი (ს. ს. ორბელიანის ხასნი)

¹⁾ ილიტრა და მომეორის... სხვა სვლით არის მოწოდება. ძველსაც მჭირავა.



იოს (როგორც ზევით დავეწეროს, ისე გამოართვი). 1)

ახალი ამაგები და შენიშვნები.

შენაშენა. ამ უკანასკლავი სატყულებით თავდება ეს აფრად საისტორიო გუყრო. სმწუხაროდ მას იაგეკლავა და ბოლოდ, გუნდა უთავიდეო შეტოტეტი და თავის შინაწმით ერთის მხრად შეგებამდა (დესტურდაზაღს). ეს გუყრად დწუყრადლებით მოგე თხარაბს წილენკავის შეპების გარდასახდა, როგორც დღასტურდაზაღს) სამიფო და სადელოფო გლეზნებზე. იფრ. დიფო ენად კი ამ ორივე მჭირაფის ნიშთსა შეტად წააგეს ერთმანეთს. გარდა ამისა, ეს გუყრა საეუფრადლება ქრატუანობის გავრცელების ისტორიითთვის ჩვენით ულ ხალხებში. ზალა ანგუყ ერთსთვის დროს და რამაზნაჩის წილენკაღობაში შათა ჟერ კიდევ გეწნებო ერთფლან, ისტორია ექ ქრასტინობის შეტრასს ფრად სასტრუქო და მჭირფსან წილენკაღობაში. აქ წმითფილილი სოფლები. გუყრენა. თელოგენა და სხვ. მოახსენებან ვახუშტის გეოგრაფიაში. (ხსე appendix I-re liste des villages du kartlei ex du cakhexh) საჭიროდ არ დავინახეთ სოხითოთ მოკრეფენა ამოწერილი ცნობები, ჩვენი ბატონიშვილის გეოგრაფიადამ, რადგან სახელებს შეტოტიუბის სხვა ცნობისარ ძილუყ გუყრამ მოახსენებულა სოფლების შესახებ.

დამტყობებო გეოგრაფიკული, რადროს უნდა ეგუყროდეს ეს გუყრა. დასვლობით გეგებმდინად უსიტ თარად, რამეღერ, სმწუხაროდ, ხილი ამ გუყრას, რადგან ბოლო მოკლეჯალი აქვე გუყრენა ისხენება ბატონიშვილი კათალიკოზი დამეტრა. სამა კათალიკოზი გუყრდა სახელზოფელი დომეტრად. ზირაქ, დამეტრა 1520 წ. მას დროს ტფალისის აილო მაქ ისმადმა, ეს დამეტრა ბატონიშვილი არ იყო. მეორე, მე ქახასროსი, ქართლის მართოქელის იყო კათალიკოზად მე-XXVI საუყ. იგი ისხენება რამდენსამე გუყრამი 1671 წლამდის (пер. гуд. стр. 110). ამ დამეტრა ბატონიშვილის დროს ვიციტ ზალა ანგეკლავის ერასთავს, რომეღერ მთავლა თავის მძისწულისაგე 1660 წ. ეს საზალა მთავლა უთავიდეო, რომელც რამაზნაჩ წილენკას შეელოდა ჩვენი გუყრის მოწრობით ქრასტინობის გავრცელების მთში. ამავე რამაზნაჩის უბრძანა კათალიკოზმა დომეტრემ შეეღგინა ანგე გუყრამ, რადგან ჩვენსეღობა დაკარგდა იგი ქანსში. ამაგ ორა ისტორიული ზირა გეადლეგს საბუთს მიგაწეროთ ეს გუყრა მუყამეტრ საეუფრის მეორე სახეგრას.

(ზალა ერასთავსე ხსე ქართლის ცნობებმა) გე-48 და შემე. რც შეეხება შესამე დამეტრას აგი აწოდებოდა ტფალისის ზელანისად, ცნობარობდა მეტრამეტრ საუყ. და არ ეკუთვნოდა ბატონიშვილებს, ამ დროს ჩვენი. ცნობებებ ამ იფის ზალა ანგეკლავის ერასთავს). რკია მოსახრებოთ აქ მოახსენებული დამეტრა უნდა იყეს მეორე დამეტრა კათალიკოზი ჩამომავლობით ბატონიშვილი ქახასროდამ.

7 ამა თვისას უღმბებლმა სიცილილმა იხსხვერალა ქეთისის გინწახიის მეექვსე კლასის მოწაფე გიორგი მელიტონის ძე მიქელაძე. განსვენებული შეხანიშნავი იყო თავისი სამავლითო ყოფა-ქცეით, ხასიათით და მიზართულებით. იგი ძვირად აფასებდა დროს და ამიტომ ერთ წამსად არ კარგავდა უბრალოდ. თავის პირდაპირი მოვლევობის გარდა განსვენებული დიდ ყურადღებას აქცევდა ქართულს ლიტერატურას. განსვენებულის გვაძი ქეთაისიდან მისვენეს სოფელს ცილორს. დასაფლავების დღეს განსვენებულს წესი აუყრა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ბრიგორიმ. გრძობიარე წესის შესრულებას შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა მიცალუმებზედ, რომელიც ამავე ნომერში იბეჭდება.

* *

30 დეკ. 1890 წ. გამოვიდა უწმიდესი სინოდის უქაზი, რომლის ძალით ერთკლასიან სამრევლო სკოლაში მაწაფებლობის უფლების მისაღებად ეგზამენი უნდა დაიჭიროს მსურველებმა სასულიერო სემინარიის; ანუ სასულიერო სასწავლებლის ჰელაგაციურს კრებაში.

* *

თბილისის ერთი მართლ-მადიდებელი ეკლესიის ახლად აღჩენულმა სტაროსტამ ვაღმობეცე ჩვენ შემდეგ მშენიერი აზრია: ცხოვრობის აქაურის მართლ-მადიდებელს ეკლესიებში ქართობენ მაღლობებს და თთვემ 25 მანეთს აძლევენ. ზოგან ეს დაქირავებული მაღლობები მართო რუსულად გალოზენ, როდესაც მლოცველთ ჰსურთ ქართული გლობის მოსმენა. ამიტომ ჩემი აზრია, რომ ასეთ მაღლობებად მოწვეულნი იქმნენ ყველგან, სადაც კი საქორთა, სემინარიის მოწაფენი, რომელთაც შეუძლიათ რუსულად და ქართულად გალობა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ სემინარიელები თთვემ 15 მანეთად ივალობებენ“.

ღმერთმა ჰქნას, რომ ამ სტაროსტის აზრი განხორციელებულიყოს.



სოფლის ვარდიგორის მაცხოვრის ეკლესიის კრებული და მრეელი გულითად მადლობას სწორედ გლგხს ვასლო პეტრეს მეს შეყრილადეს, რომელსაც ხსენებული ეკლესიისათვის შეუწირავს ორი ბაირახი, ღირებული ოც-და-ხუთ მანეთად.

* *

დავით ადამაშენებელს სამლოცველოს განსახს ღებულად და წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს კუბოს მოსაზოებლად ჩვენ მიიღეთ ციხის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლის გიორგი ანთაძისაგან 8 მანეთი და 50 კ., რომელიც შემოსწირეს შემდეგ პირებმა: პაულე ნიკოლოზის ძემ მაჭავარიანმა 1 მ., ამისმა მეუღლამ მართა კლდიაშვილის ასულმა 1 მ., კონსტანტინე უზნაშვი 1 მ., ალექსანდრე ანთაძემ 1 მ., ზურაბ მდინაძემ 1 მ., იოსებ ლეენისძემ მაჭავარიანმა 60 კ., ჩიტო მაჭავარიანმა 60 კ., და ვით ბეჟანის ძე მაჭავარიანმა 60 კ., სტაროსტა აღმასან კაშვილამ 60 კ., როსაფა მდინაძემ 60 კ. და თედორე ვიშნიაშვილმა 50 კ.

წინეთ იყო შემოსული . . . 280 მ. 43 კ.
ღებლანდელი შემოსული ფულით იქნება 288 მ. 93 კ.

* *

კიხისა წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლის გიორგი ანთაძისაგან ჩვენ მიიღეთ შემდეგი წერილი:

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მამობით თქვენი შურნაღის საშუალებით გულითადა მადლობა გამოუფიქრო ჩემის მხრით ბ. პაულე ნიკოლოზის ძეს მაჭავარიანს და ვასალ იკანეს მეს ზვიადამეს, რომელთაც რწმუნებულ ნებამო ეკლესიას შემოსწირეს: პირველმა თანაარსი ოქროში დაფარვიდა, რომელზედაც არის გამოსტული მსვეტიცისი ხელოვნების ქანისტეს აღდგომა, ღირებული ნ მანეთად, ხოლო მეორემ—ღვთის მამობის სტა, მოოქროვილი, ღირებული 2 მანეთად.

აგრეთვე დიდ მადლობას უძღვნი ზემო ხსენებულ ბ. პაულე მაჭავარიანს, კიხილუ დამატრის ძე მაჭავარიანს, კონსტანტინე უზნაშვი, ტმოთე აკლიშვილს, დავით ბერაძეს, სტაროსტა აღმასანს კვალიშვილს და კბჭელოსის ურადეს თედორე ვიშნიაშვილს, რომელთაც დასდკეს დიდა შრომა და ღვაწლი ერთად ჩემთან კბჭელოსთან სამკველო სკოლის გასწავლად.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაში და კეთილშენებაზედ.

ს ი ტ ე ვ ა

ადსრდისთევის მუილთა,

თქმულა იმერეთის ეპისკოპოსის განრეილის მაერ.

გამანი ნუ განარისხებო შეიღოთ თქვენთა, არამედ განზარდნით იგინი სწავლითა და მოძებრებით უფლისათა. (ეფეს. ვ. დ).

თვით ამ სიტყვებითან ჰხანან, ძმანო ჩემნო ქრისტიანენო, რა საგანზედ განვიზრახეთ დღეს უბნობა თქვენთანა. აწინდელი სიტყვა ჩვენი თქვენთან იქმნება მას ზედა, თუ ვითარ უნდა ზრდიდენ მშობელნი ქრისტიანენი მცირე წლოვანთა შეიღოთ თვისთა. ვგონებ, რომ თქვენც ჰგრძნობთ, რა დღი საგანი არის ეს და რა სახით არის საპირო, რომ ქრისტიანე ზმირად ჰვიქრობდეს მას ზედა. პირველთა ცნობათა და ჩვეულებათა, რომელთა მიიღებს მცირე წლოვანი ყრმა სახლსა შინა მამისა თვისისა, პირველთა მაგალითთა, რომელთა იგი ჰხედდეს გარემოს თთვისსა, აქვსთ უდიდესი მნიშვნელობა მივლს მამისა სიცოცხლესა შინა. ყოველი მომავალი ცხოვრება მცირე წლოვანისა ყრმისა, მისი ყოფაქცევა. მისი ზსნათა და ერთის მხრით. თითქმის, სულის სტრევენცა დამოკიდებული არის მას ზედა, თუ რა სახით განზარდა იგი, რა შეგონეს და რა დასწავლეს მას და რას მიანიჭეს იგი მშობელთა სიყმაწვილეშივე.

ამ ჰუმპირიტებას თითქმის კარგად ჰგრძნობენ ყოველნი, ჩვენს ქვეყანასა, იმერეთსა, შინა მცხოვრებნი. ვინც კარგად იცნობს ჩვენს ქვეყნის ჩვეულებას, მან კარგად იცის, რომ თითქმის ყოველთა მცხოვრებთა და მეტადრე კეთილშობილთა კარგად ესმისთ, რა დღი საჰქმ არის შეიღოთ ის

საქართველო

გაზრდა ზრდილობა დიდი სიტყვა არის ჩვენს ქვეყანაში; კარგა გაზრდილს კაცს ყოველგან ჩვენში დიდი ქება აქვს; ამისთვის მშობლები ძლიერ ჰყვირაობენ და აღრითებენ მუდმივად შვილების აღზრდას. გვარა რა სახით ზრდიან ჩვენში მშობლები შვილთა? როგორ ესმით მათ ეს საქმე? რას უფრო ასწავლიან და მიჩვენებენ თვისთა შვილთა? ამაზედ საქარო არის წინაპირველად ესთქათა ორიოდ სიტყვა.

ჩვენს ქვეყანაში ამ საგანზე დამყარებული არის ძველთგანვე ერთი ჩვეულება. აქ ყოველთა მცხოვრებთა და ბეტარე კეთილ-შობილთა, შვილების გაზრდაში მეჯითი ყურადღება მიქცეული აქვსთ მხოლოდ ერთს კერძოზე. იგინი ყოველთვის ამ საქმეში მხოლოდ ამას სცდილობენ, რომ თვისთა შვილთა ასწავლონ მოსაწონი მიხევა-მოხერა, კარგი სიტყვა-პასუხის მიცემა, თავიზიანად დაპარაკა და მოქცევა. ჩვენში კარგად გაზრდილი ყრმა ის არის, რომელმან ისწავლა კარგად თავის დადგრა, კარგად შესვლა და გამოსვლა. სტუმრებთან დგომა და ჯდომა, შესაფერი ზრდილობიანი დაპარაკა და პასუხის-გება, ერთი სიტყვით, რომელიც არის კარგი დარბაისელი, ამას ეძახიან ჩვენში გაზრდას! და მართლა ამ კერძოთი დიდი წაშატება აქვს ჩვენს ქვეყანაში გაზრდას. აქ უკანასკნელი გლეხის კაცის შვილიც კი გავაკურვებს თვისთა თავიზიანობით, და ზრდილობით, ხოლო კეთილ-შობილი რასაკვირველია, უმეცხად.

მარნა, ძმანო ჩემნო საყვარელნო, თვით თქვენ არა ჰგონობთ, რომ ეს არის მხოლოდ ერთი და თვით უმცირესი კერძო შვილის გამოზრდისა? ესრეთი გარეგანი ზრდილობა და დარბაისლობა მხოლოდ მაშინ არის მოსაწონი და საქები, როდესაც იგი შეერთდება სულიერსა, შინაგანსა ზრდილობასთანა, ე. ი., გულისა და სულის სიკეთესთანა. უმთავრესი საქმე შვილის გამოზრდაში ის არის, ძმანო, რომ შესწესს ბავშვის გული გაუკეთო, ხსიათი გაუსწორო, თუ კეთილი, შინაგანი ხსიათი გაუზრდება შენს შვილს, მაშინ გარეგანი ზრდილობა თვის თავად მოუყვება. როდესაც წმიდა მოციქული პავლე შეგაგონებს მამათა: გახსნად გენათ შვილინი თქუენნი სწავლეთა და მოძღვრებეთა უფლებასათა, ამით იმას კი არ გტყუებს იგი, რომ შენს შვილს მხოლოდ დარბაისლობა და თავიზიანობა ას-

წავლო, არამედ გასწავლის, რათა მისი გულში დადებულად ქრისტიანული შინაგანი სახიერება. იგივე წმ. მოციქული პავლე მისწერს ტროთას: ხარგავა წესითა ღმერთსა წუთ-ერთნამ სარგებელად; ხოლო დე-თას-მასხარსა უკლავთა სარგებელად; რამეთუ აღ-თქმა აქვს ცხოვრებასა აწინაღმართსა და შენსა (ტროთ. 1); ე. ი., გარეგანი ზრდილობა მხოლოდ ამ ქვეყნისათვის არის სასარგებლო, ხოლო ღუის მსახურება, რომელიც დამოკიდებული არის შინაგანსა კეთილსა ხსიათსა ზედა, ამ ქვეყანაშიც სასარგებლო არის და მერმისა საუწყროისა ცხოვრებისათვისცა.

მაშასადამე, რა სახით უნდა გამოზრდიდნ მობელნი მათნი და რა უნდა ასწავლონ მათ? თუ გსურს, ძმანო, რომ შენი შვილი გამოვიდეს კეთილი და ბედნიერი კაცი, ორი საქმე ასწავლე მას, ორი თვისება დანერგე მის გულში. პირველად ეცადე, რაც შეგიძლია, რომ შენს შვილს შეაყვარო სიმართლე, მიამჩიო ცულ-წრფელობა. პირველი და უწინარესი ყოველთა ცოდვა, რომელიც განდბა მკირე წლოვანის გულში, არის სიტყუე, მოტყუება, მზაკვარება. თუ არ ეცადე და არ აღმოფხვერი მისი გულისაგან ეს ცოდვა, იგი გარდაექცევა მის ჩვეულებად და შეიქმნება წყაროდ ყოველთა მისთა მომავალთა ცოდვათა.

მეორედ, ეცადე და ყოველი ღონის-ძიება იხმარე, რომ შენი შვილი მიჩვიოს ყოველ საქმეში ბეჯითობას, ე. ი., ყოველი თვისი საქმე აღასრულოს ხალისით და კეთილ-სინდისით ბოლომდის მიყვანოს. ამისი სწავლა ერთობ საქარო არის, ძმანო ჩემნო! ჩვენ ყოველთა, ამ ქვეყანაში მცხოვრებთა ერთი დიდი ნაკულღვენება გვაქვს, ე. ი., დაუღვენელობა. დაუღვენელობა ის არის, როდესაც კაცი თვისს საქმეს, თვისს მოვალეობას არ ასრულებს ბეჯითად და კეთილ-სინდისითა. დიდი ცოდვა არის, ძმანო, დაუღვენელობა! თუ კი კაცს რომლისამე საქმის კარგად გაკეთება შეუძლია და არ მოინდომებს, და ცუდად აკეთებს, იგი არის კაცი საწყალი და საცოდავი. ჩვენ, ამ ქვეყანასა შინა მცხოვრებთა, ღმერთმან არ მოგვაცლო არცა ნიჭი, არცა ღონე; თთქმის ყოელისა საქმისა შეგიძლია სწავლა და გაკეთება; გარნა ვართ დაუღვენენი, გვაცლია ბეჯითობა, ხშირად ვართ აღტაცებულნი და წარტაცებულნი სოფლის ამოვებით; თითქმის ყო-

ველის საქმეს დაიწყებთ მზურვალედ და ზეჯითად, გარნა მალე დაელოდებით და ბოლომდის საქმეს ვერ მივიყვანთ წარმატებით. ეცადე, ძმაო, რომ შენი შევილიც არ გამოვიდეს ამ ხასიათისა, არამედ იყოს ყოველს საქმეში მტკიცე და ბეჯითი.

და ესრედ, ძმანო, ჩემნო, ვგონებ, რომ ორთა ამა თისებთა ზედა, ე. ი., სიმაართლეა და ბეჯითობასა ზედა უნდა იყოს დაფუძნებული გამოაზრდა შეკლთა. იგინივე არიან საფუძველნი ვითარცა ამ სოფლის ცხოვრებისა, ვგრეთვე მოამაჲლის სოფლის ცხოვრების მოაზრებისა. კაცი ცრუ და მზაკარა ვერც ამ ქვეყანაში იქნება ქებული და წარმატებული, ვერცა სასუფეველსა ღვთისათა დიმიკიდრებს. აგრეთვე კაცი დაუღვენელი. მოკლებული ბეჯითობათა და ხასიათის სიმტკიცეთა ვერც ამ ქვეყანაში ბედნიერს ცხოვრებას გაატარებს და ვერცა მოამაჲლის ცხოვრებისათვის იქნება მომზადებული.

დასასრულ ისიც უნდა დაუმატოთ, ძმანო ჩემნო, რომელ შეილები მტკიცე წლოვანი ისე სიტყვიერის დარიგებით ვერა რას ისწავლიან, როგორც მაგალითით. ამისთვის თუ მშობელი არ აძლევს მათ კეთილსახესა, ძნელად შეიძლება, რომ იგინი კარგნი გამოვიდნ. ეს უმტკიცად უნდა ახსოვედეს ყოველთა მშობელთა. — ამინ.

ს ი ტ ვ ე ა,

საქმიანი ყოველი სამდღეობა გრძობისაგან გიარტობი შეღატაკის მას მაქლამს დასაფლავებს დროს.

ილიქსილი შამე რამეუ არა იცოთ დღე იგი, არცა უში, რომელსა შინა ჰე კაცისა მივიდეს (მათ. 28, 13).

ითიქმის ყოველი კაცის გარდაცვალება ამიერსოფლით გავშუქარებს ჩვენ, გვაძრუნებს, მხადეს ჩვენში უზედურ ფიქრებს. ყოველი მიცვალებულის დანახვა თაეზარსა გვექმს, გეშუოთებს, გულისა

სწულავს, აღვიძებს ჩვენში თანაგრძობას და სიზრჯისა ლულს მიცვალებულისადმი და გეყოფს თვალსაყრდენსა ლინად.

მა ხომ ასრეა, მაგრამ განსაუთრებთ სამშუხროა და გულსაყლავი იმისთანა პირის გარდაცვალება, როგორიც არის აწ წინაშე ჩვენსა მდებარე, ახალგაზრდა თავად გიორგი მელიტონის ძე. შობილდან ცნობიერის წილისა, ფრიად სამშუქარა არა მხოლოდ მშობელთა მსათვის, არამედ ყველა ჩვენი მამულის შეილისათვის, და ჩვენ ყოველთათვის.

მხედრეთ წინაშე ჩვენსა უხმოდ და უსულოდ მდებარს, შემკული ყოველს სიკეთით და აღსაქმის დიდის იმედებით ახალ გაზრდა მამულისთვის, იმ მამულისას, რომელიც უზომოდ საკრავებს კარგად აღზრდის, ნ.სწავლის და ყოველს საგანსა და საქმეში ახალგაზრდებულ კაცთა. ყოველს გეჭვს გარეშე ჩვენ ესასობით, რომ განსვენებული ესე იქნებოდა ერთი ამითანა კაცთაგანი; მაგრამ უღობველმა და შეუბრალეველმა სიკვილიმა ასრე უღრთოდ შთანთქმის თვისს უფსკრულში; დაქწოიერ, ვითარცა მშენიერი გაზაზრდის ყვეელი, ვითრე შესაფერის ნაყოფს მოიტანდა; მოჰყვითა, ეთარცა ახალ ნერგი და ამ გვარად მოსაო ყოველივე სანუფეშო და სასიქადულო იმედები ამისა, მშობელთა ამისათა და მთელის საზოგადოებისა. —

შინ არის კაცთა შორის გულთა მხილავი შეიტყოს ის ტუბილი და სასიამოვნო იმედები, რომლითაც იქნებოდა საესე ბედკრული მიცვალებული? სიყრმიდანვე შეუდგა იგი, მსწავლეს; იშრომა, იღვაწა, დღე და ღამე გაასწორა, შეისწავლა სხვა და სხვა სამკენიერო საგნები, ამ მცენიერებას შესწირა თავის ძალღონე და საუკეთესო დღენი, ცოტა კიდევ და გამოვიდოდა საზოგადო ასპარეზზედ, როგორც ყველა საქორო იარღლით აღჭურვილი მხედარი, და აი, ამ ასპარეზზედ უნდა განებორციელებინა ყველა ის ჯერეთ აზრად მქონე იმედები, რომლითაც იყო აღსაესე ამისი გული და გონება; უნდა დამტკაროიერ ქვენიერის ბედნიერის ცხოვრებით, ენუფეშებინა, დაეტკობ და გაეცარებინა თვისი მშობელი და ნათესავნი, მაგრამ ამ მშენიერის გზაზედ მიმავალს მოხვდა ცელი სიკვილითა და წაგვართვა იგი.

მშობელი ამისნი, რომელით იმედი და ნუფეში იყო ეს ერთი მოსწრებული ძე, რომელმაც დასაოცრდნენ, რომლისგანაც მოელოდნენ სახელოვანს



შეილს და ამ სახელოვანი შეილისაგან სიხარულს, ბედნიერებას და ყველა იმ სიკეთეს, რომელიც ქვენიურ ცხოვრებაში სულისათვის ტკბილი და სანატრელია, ყველა ეს ერთბაშით მოიუსპო მთ მუშურალი-ბელმა სიკვდილმა და დასტოვა თვალცრემლიანი. რა ნუგეში უნდა მისცეთ მათ? ნუგეშად მათა საკმაოა მისი კეთილი თვისებანი: სიმშვიდე, სიწყნარე, მოჩი-ლება და სიკეთე, ღუთიანობა, რომლი-თაც თამამად წარადგება ანგელოსთა თანა თვისის ქრისტიანულის ცხოვრებთა და ეს საკმაოა მათთვის სანუგეშოდ.

სიკვდილი მიუტოლებელია ყოველი ადამიანი-სათვის, იგი ნიშნავს გარდასვლას ზეციურსა სამშობ-ლოსა შინა და ქვენიური ცხოვრება ჩვენი არის მხოლოდ მოგზაურობა ამა ქვეყნაზედ. დრო მოგზაურობის გათავების წინად გაუგებელია, რად-განაც სხვა და სხვა დაბაკოლებანი შეიძლება შეემთ-ხვეს კაცსა.

ამგვარადვე დასასრული მოგზაურობისაცა ჩე-რისა ზეციურს სამშობლოსადმი არა უწყებულ არს ჩვენ მიერ და ხშირად სიკვდილი გვეწევა ჩვენ უფრო მაშინ, როდესაც მას არ მოველით. მაგალითი ამ გეარის შემთხვევისა წინ გვისწენია ავგარ და ალა-ვისებს გულთა ჩვენთა მწუხარებისთა.

იკა წარვიდა მუნ, სადაც ყოველნი განისვენე-ბენ მამანი და ძმანი ჩვენნი; მაგრამ ჩვენ რას გეასწა-ვებს იგი თავის დღეწინდელი მდგომარეობითა, რას გვეუბნება იგი ჩვენთვის ბნელი კუბოსაგან? გეას-წაივებს, რომ მუდამ ემხადებოდეთ ჩვენ განსვლისა-თვის ამა ქვეყნიდან, ემზადებოდეთ კითლის საქ-მით აღუკრებს, რათა უმშობლად და დაუბაკოლებე-ლად, გვექმნას მგზავრობა და ცხოვრება სამშობლო-სა შინა ზეციურსა, გეასწაივებს, რომ ჭეშმარიტად ამათ არს ყოველივე ხორციელი, მიწაზე და ნაც რავე გარდავიტყვეით. გვეუბნება, ამა იხილეთ, გუშინ თქვენთანა იყოყმი და დღეს წარველ ზეციურს მამისთან, რომელიც იმ გეარად იღებს შეილთა თვისთა, რა გეარადაც იგიინ პალტის ცემით ემხადე-ზოდენ მისასვლელად მასთან; გვეუბნება, რათა გან-ვილოდეთ ამა სოფლიდგამ და მტოვებელნი კეთილისა რაისამე საქმისა, რომელიც ღამწრად მიგვიძოდეს წინ დროსა მოგზაურობისა ჩვენსა ზეცილადი.— ექვი არ არის, რომ სიკვდილი ყოველის კაცსა შე-მძარწუნებელია, მით უმეტეს სიკვდილი დახლოვე-

ბული პირისა, ძისა და ნათესაისა. მაგრამ უწყრო შემძარწუნებელია სასოწარკვეთილება ამ შემთხვე-ვაში, რომელიც შეადგენს ნაწილსა ურწმუნოთასა. ამისთვის ნამეტანი გოლბე და მწუხარება ერთი რომ საწყენია ღვთისათვის და მეორეც ის უსაჩვენებელია თვით განსვენებულისათვის.

დაეტყვით მწუხარება, წრეს გარდამავალი და ნუგეშს ვაძლედეთ რა ურთიერთს და განსაკუთრე-ბით მისს მშობლებს და მონათესაეებს, ევედრნეთ სულისათვის მიკვალებულისა, რათა იგი დაამკვიდროს ღმერთსა მუნ, სადაც არა არს ჭირი, არცა მწუხარება, არცა უჩევა, არცა სულთქმა, აზამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი. ამინ.

შესანიშნავი შემთხვევა.

მოგვყავს ერთი შესანიშნავი შემთხვევა რუ-სული გზაზეთ «СВЕТЪ»-იდან. ეს შემთხვევა სწო-რედ შესანიშნავი არის ჩვენს დროში. შემთხვე-ვა მომხდარა ჰაროეში. ჰაროეში ერთ მღვდელე-თან მივიდა ქალი და სთხოვა თავის ავადმუ-ფივი შვილის ზიარება. მღვდელმა წაიღო ქოვე-ფივი საჭირო ზიარებისათვის და გაჭკვა ქალს. ცოტა ხნის სიარელია შემდეგ ისინი მიიხანლოვ-დენ დანიშნულს სახლს, მაგრამ, როდესაც სახლში შევიდნენ, ქალი შეუნიშნავად მიიფარა საღაპა. მღვდელის გამოეგება ერთი აფიცერი, რომელმაც ჭკიბხა მიზეზი მისვლისა და ისიც. თუ ვისთან მოვიდა. მღვდელმა უპასუხა, რომ ის მოიწივად ერთმა ქალმა, რომელიც ავად-მუფივი შვილის ზიარებას სთხოვდა და იკითხა, თუ სად არის ავადმუფივი, აქ ჩემს მეტი არავინა სდგას, მიუკო აფიცურმა და მე ავად რომ ვარ. მღვდელი მიიწივად მინ და ბასში რომ იყ-ვნენ, მღვდელმა შენიშნა ერთი ქალის სურათი, კედელზედ ჩამოკიდებული. ის სწორედ ეს ქალი იყო, მიუთითა სურათზედ მღვდელმა, რომელ-მანც მთხოვა თავისი ავადმუფივის შვილის ზი-არება. აფიცურმა უპასუხა მღვდელს, რომ სუ-რათზე დახატულია დედა მისი, რომელიც, დი-დი ხანია, მკვდარია. აფიცერი ცოტა დაფიქრდა და შემდეგ სთქვა აღსარება და ეწიარა, თუმცა თავის თავს ავადმუფივად არ გრძნობდა. ეს აფი-ცერი მეორე დღეს გულის ავადმუფივობით უუც-რად გარდაიცვალა.



ბანსხადეპანი.

შმაღლესად დამტკიცებული ჯრუსეთის საზოგადოებაათანხის და შემოკლების დაზღვევისა, დაარსებული 1835 წელს.

საზოგადოება ყხლაქს

- 1., თანხას შეიღებისათვის, ანუ სხვა მემკვიდრეებისათვის, ეინციზება დაზღვევი გარდაიცვალა.
- 2., თანხას, რომელიც შეუძლიან თერთონ დაზღვეველმა მიიღოს, როცა მოხუცდება.
- 3., თანხას, რომელიც მიეცემა დაზღვეველს აღნიშნულ ხნის შემდეგ, როცა თერთონ დასპირდება შეიღების დასაბინაიებლად, ანუ ქაღებისათვის სამითოდ.
- 4., პენსიას სიცილიამდის, სამკვიდროს და სხვა... შმთარესი ბაგენტი და რნსვეტუროი კავესიაში ნ. ბრუუნენბერგი. შოსტის და ღებვის აღრესი: Грy-аеибергу Тифლისь.

(10-9)

ქლაწაი IV სამუარნამო ბახთი ქლაწაი IV

„მეურნე“

გამოღის გვირაში ერთხელ.

გაზეთი „მუარნე“ მომავად 1891 წ. გამოიცემა იმავე შროგრაშით და სივრცით, როგორც ამ 1890 წ.

შსნი ბახათისა:

თბილისში		თბილისს გარეშე
1 წლის . . . 5 მან.		1 წლის . . . 5 მან.
1/2 — . . . 3 —		1/2 — . . . 3 —

ცალკე №—15 კ.

ბანსადებანი მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ეველა რწაზედ, სტრიქონი 10 კაბ. უქანსენელს გერდზედ, და 20 კ. პირველ გვერდზედ. გაზეთის დაბეჭედა შვიძღებმა: ძაქვასიის სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში, ჩარკიანის მაღაზიაში და თეთი რედაქციაში: რეტის ქუჩა, სახლი № 10.

საპოლიტიკო და სალიბერალურ ბახათი

„ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-ღვედ გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევნ გვირა-უქმებს.

12თოვით . . . 10 მ.—კ.	6 თოვით . . . 6 მ.—კ.
11 „ . . . 9 „,50 >	5 „ . . . 5 „,25 >
10 „ . . . 8 „,75 >	4 „ . . . 4 „,75 >
9 „ . . . 8 „,— >	3 „ . . . 3 „,50 >
8 „ . . . 7 „,25 >	2 „ . . . 2 „,75 >
7 „ . . . 6 „,50 >	1 „ . . . 1 „,50 >

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოველის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დათმობათ 8 მან.

ტფილისის გარეშე მტხოვრებთ უნდა დაბარონ გაზეთი შეიძვეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ Редакцію газеты „ИВЕРІА“

თუ ტფილისში დაკეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცავლა ეინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაბ.

თუ თითეს განმავლობაში დაიკეთა ეინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდან გვეგზაუნება. მანსადებანი მიიღებანი გაზეთის რედაქციაში.

შსნი ბანსხადეპის დაბავდვისათვის:


ა) მეოთხე გვერდზე თითოჯერ სტრიქონი 8 კაბ., პირველზე—16 კაბ. ბ) სრული უქანსენელი გვერდი 30 მანათი, ხოლო 1-ლი გვერდი—60 მან. როცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის ყვლობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

სელ-ნაწერი და საგაგოოდ დანიშნული წერილები (გორესპონდენტების) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული სელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები თუ საქირიება მოიხზოვს, ან შემოკლებული ან შესწორებული იქმნება. არ დასაბეჭდს სელ-ნაწერებს, თუ ერთის თითეს განმავლობაში პატრიონებმა არ მოიკითხეს; მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვეთ.

ანა გავრს მაწარ-მოწარას ან დასაბეჭდათ სელ-ნაწერების და წერალებს შესასებ რედაქცია არა კასრულობს.

პირ-დაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თვის-უფული იქმნება ყოველ-ღვედ, კვირა-უქმების გარდა, 1-ლ საათიდან 3 საათამდე და საღამომით 7-ლ 8-მდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინს კისეულსახლებში, № 21.



პირიება ხალის-მოწერა 1891 წლისათვის ორ
პირიულ გამოცემათა ჰართულს

„მ წ ე მ ს ე ს ი“

ღ

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გახეთისა: 1) შეატო-
ზინოს სამღვდლო და საერო წოდებას ყველა გან-
კარგულება და მოქმედება უმღელესთა სასულიერო და
სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და
მღვდელ-მთავრთა; 2) გაავრცელოს ქართველ სასუ-
ლიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა
და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვ-
რების კითხვთა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართვე-
ლოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლა და
მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და
სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუშარტოს
სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზო-
გიეროსი სვეტო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუტო-
ლებელ საქმიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი
მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა,
ზემოხსენებულის პროგნამის აღსრულების გარდა,
არის— 1) შეატოზინოს რუსეთის სასულიერო და
საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერე-
სო მჭყუქსაში დაბეჭდილ სტატიების; 2) გააც-
ნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას სა-
ქართველო, ეს დაზოგადებული კითხვ რუსეთის იმე-
რიცხა და საქართველოს სასულიერო და საერო წო-
დება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს
რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი გასეთისა:

12 თითი მჭყუქსისა 5 მ., 6 თითი მჭყუქსისა 3 მ.
— ,, ორივე გამოცემა 3 მ. — ,, ორივე გამოცემა 4 მ.
— ,, რუსული ,, 3 მ. — ,, რუსული ,, 2 მ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვი-
ლების სახლებში და ყვარდაში რედაქტორის საკუთარ
სახლებში.

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც
ყვარდაში, აგრეთვე ქუთაისში-ზე.

მარტუმე მცხოვრებთა გახეთის დაბარება შეუძლიათ
ამ აღრესით: Вь Квирлыа, вь редакцию газеть
„МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.

მაილება ხელის-მოწერა 1891 წლისათვის ორ თეაერ
სუმაწავალო სურათებან ჟურნალ

„ჯეჯილზე“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო
წიგნში იქნება ოთხ-დამ-ხუთამდე ნაბეჭო თაზანი,
ანუ 64—80-დე გვერდი ღოდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაბეჭდება: მოთხრობანი, ლექსთ
ბი, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კატო-
ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეც-
ნიერო წერილები, საბავშო სათამაშოანი და საერ-
ჯიგონი, სამთემატეკო ამოცანები, იფეკი, ანდაზე-
ბი, გამოცანები, ნარევი, რებუტები და სიმღერები
ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მღლება აღგეითქებს
ყველა ჩვენსა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დამატებით
ღირება— 3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.
ცალკე ნოპრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება ზოლოდ წლით და
ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

- 1) თბილისში — «წერა-კითხვის საზოგადოების» კან-
ცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და
თვით «ჯეჯილის» რედაქციაში (Варятинская ул., д. 8).
- 2) ქუთაისში — მკ. ნაკობიძისა.
- 3) გორში — მკ. შურცელაძისა.

შოსტის ადრესი: Вь Тифлис, вь редакцию
ერუსიკაი ბოტსკაი ჟურნალა «ДЖЕДЖИЛИ»
რედაქტორა-გამოცემალია: ნ. თუმანიშვილისა.

შინაარსი: ორ-კლასიანი სამკალითო სკოლის
კუთხეუკ და გახსნა მარტულიში. — აზნი და გრმინა
ტეშმარტი ქრისტიანისა ახალი წლის დამდგუტს. —
მგდღასი საიდუმლო. — საიტარია მასადა. — ახალი
ამბები და შენიშვნა. — სიტყვა აღზრდისათვის შეილთა,
თქმული იმერეთის ეპისკოპოსისა გაბრიელის მეურ. —
სიტყვა, თქმული გურია-სამეგრელოსის ეპისკოპოსის
გრიგორისაგან გომრგი შკელიტონის მის მიქქამის დის-
ულავაგაბის დროს. — შესაშნავა შეშოსკეკა. — განგდაგაპანი.